

სოფელ სამესხიოს საერთო კრება

საერთო კრების ოქმი N 1

საერთო კრების გამართვის ადგილი და თარიღი : სოფელ სამესხიოს საჯარო სკოლა, 9.03.2017

გაიმართა სოფელ სამესხიოს საერთო კრება. აღნიშნულ დასახლებაში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა (საერთო კრების წევრთა) საერთო რაოდენობა შეადგენს 298 ამომრჩეველს კრებას ესწრება საერთო კრების წევრთა 22%

საერთო კრების თავმჯდომარედ არჩეულია/კანონმდებლობით განისაზღვრა ციალა სამუშია, პ/ნ 51001006584

საერთო კრების მდივნად არჩეულია/კანონმდებლობით განისაზღვრა მარინე კონჯარია, პ/ნ 62004015434

- საკითხები: 1. სოფელ სამესხიოში წყლის სისტემის გაყვანა;
2. სოფელ სამესხიოში გზის რეაბილიტაცია;
3. სოფელ სამესხიოში სანაგვე ურნების განთავსება და ნარჩენების გატანა
- საკითხების ინიციატორი - ციალა სამუშია, პ/ნ 51001006584 საერთო კრების თავმჯდომარე
- საკითხის ინიციატორმა საერთო კრებას გააცნო შემდეგი მოსაზრებები: 1. სოფელ სამესხიოში მოსახლეობის დიდ ნაწილს არ გააჩნია სასმელი წყალი, რაც დიდ პრობლემას უქმნის მათ. ზაფხულში ჭები შრება, ხოლო ზამთარში რთულია შორი მანძილიდან წყლის ზიდვა. 2. სოფელ სამესხიოში მოუწესრიგებელია შიდა გზები, რაც მოსახლეობის გადაადგილებას ძალიან ართულებს. 3. სოფელ სამესხიოში არ ხდება ნაგვის გატანა და მოსახლეობა ნარჩენებს მიწაში მარტავს, რაც ეკოლოგიური საფრთხის შემცველია.
- საკითხის შესახებ საერთო კრებაზე გამოითქვა შემდეგი მოსაზრებები:
1. მოსახლეობის ნაწილმა აღნიშნა, რომ სასმელი წყლის არარსებობა მათი მთავარი პრობლემაა, მეორე ნაწილისთვის კი ასე არ არის, რადგან მათ უკვე აქვთ სასმელი წყლის სისტემა. თუმცა ის ნაწილი, რომელსაც სასმელი წყალი უკვე გააჩნია, თანახმა იყო პრიორიტეტულ პრობლემად სასმელი წყლის არარსებობა დაედგინათ, რადგან სასმელი წყალი არც სოფელი სამესხიოს სკოლასა და ბაღს მიეწოდება. ამასთან

მოსახლეობამ დაასახელა თუ სად მდებარეობდა წყლის დეტექტი.

2. სოფელ სამესხიოს მთელი მოსახლეობის პრობლემას წარმოადგენს შიდა გზების მოუწესრიგებლობა, თუმცა მოგვარებადობისა და ფინანსების არსებობის თვალსაზრისით მისი მოგვარება ნაკლებად რეალისტურია არსებული ბიუჯეტის ფარგლებში.

3. რაც შეეხება სოფლიდან ნარჩენების გატანას, მოსახლეობის თქმით, ისინი თავიანთ ნარჩენებს მიწაში მარხავენ, რაც ნავის პრობლემის მოგვარებისთვის მათთვის დამაკმაყოფილებელი გზაა.

- კრებამ ასევე დაასახელა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პეტიციის შეტანაზე უფლებამოსილი პირები, სესილი ბარბაქაძე, პ/ნ 01001086109, ანნა სოსელია, პ/ნ 01005032384, მარიამ ბარბაქაძე, პ/ნ 01019075655.
- სოფელ სამესხიოში სასმელი წყლის გაყვანის პრიორიტეტულ პრობლემად დასახლებისა და მის შესახებ საკრებულოში პეტიციის შეტანასთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელიც დასრულდა შემდეგი შედეგებით:

მომხრე: 58 წევრი ;

მოწინააღმდეგ: 5 წევრი;

ხმის მიცემისგან თავი შეიკავა: 0 წევრმა

კრების თავმჯდომარე - ციალა სამუშია

კრების მდივანი - მარინე კონჯარია